ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1164421

ნომერი: AR1203407

თარიღი : 11.03.2014

გაცემის თარიღი : 12.03.2014

გაცნობის თარიღი : 13.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 21ა / ქალაქი თბილისი , ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 11 მარტს #AR1203407 განცხადებით მომართა გიორგი ინასარიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებით ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. #21ა / ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.14.11.016.039) შეთანმხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისას შეცდომით იქნა მითითებული საზაფხულო ფართობის ციფრობრივი მაჩვენებელი, რის გამოც 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებაში მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი არ შეესაბამება გრაფიკული დოკუმენტაციის მონაცემებს, კერძოდ: საზაფხულო ფართობი 64.9 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 496.6 კვ.მ.–ს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებაში და საზაფხულო ფართობად მიეთითოს 496.6 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.